„საქართველო პანდემიასთან ბრძოლაში“

მსოფლიოსთვის COVID-19-ით გამოწვეული პანდემია ერთგვარ გამოცდად და გამოწვევად იქცა. მან განსაკუთრებული მასშტაბი შეიძინა და სრულიად შეცვალა ჩვენი ცხოვრების ყოველდღიური რიტმი. მის გავლენას კი ყოველი ჩვენგანი განიცდის. პანდემიამ დიდი გავლენა იქონია თითქმის ყველა სფეროზე, ამიტომ პროფესიონალები სხვადასხვა მიმართულებიდან აქვეყნებენ შეფასებებსა თუ განმარტებებს იმ ცვლილებების შესახებ, რომელიც განხორციელდა ცალკეულ ქვეყანასა თუ მსოფლიოში.

ცვლილებების განხორციელების მხრივ გამონაკლისი არც საქართველო ყოფილა. ძირითადი სტრუქტურები ონლაინ რეჟიმში განაგრძობენ მუშაობას, დაიკეტა ყველა სავაჭრო პუნქტი გარდა სურსათისა და აფთიაქებისა, დისტანციურ რეჟიმში მიმდინარეობს სწვლებაც უნივერსიტეტებსა და სკოლებში, მუდმივ რეჟიმში გვიწევს პირბადეების გამოყენება და თერმოსკრინინგის გავლა, დაწესდა კომენდანტის საათიც.

პანდემიამ, როგორც სხვა ასევე, ჩვენს ქვეყანასაც მძიმე დარტყმა მიაყენა. გაზრდილი მოთხოვნა პროდუქტზე, უმუშევრობის (დროებითი) გარდაუვალი ზრდა, სიღარიბის მაჩვენებლის გაზრდა, ეროვნულ ვალუტაზე სხვადასხვა ფაქტორების ზეწოლა, ტურიზმისა და საერთაშორისო გზავნილების შემცირება - ეს ის ხილული ეკონომიკური ეფექტებია, რომელთა გამოცდა საქართველოს მოსახლეობას საკუთარ თავზე უწევს.

საქართველოს მთავრობამ პანდემიასთან ბრძოლა გარკვეულ ეტაპებად დაყო. პირველი ეტაპი იყო გადაუდებელი სასწრაფო დახმარება, როგორც მოქალაქეების სოციალური თვალსაზრისით უზრუნველყოფის მიმართულებით, ისე ეკონომიკის მიმართულებითაც. შემდგომი იყო უკვე მოლაპარაკებები და სამუშაოები საერთაშორისო პარტნიორებთან და ფონდებთან იმისთვის, რომ ის დანაკლისი,

რომელიც კრიზისულმა ბიუჯეტმა განიცადა თანმიმდევრულად შევსებულიყო ფინანსური რესურსებით, რომელიც საჭირო იყო და არის დღესაც ვირუსთან გამკლავების თვალსაზრისით. ვირუსთან ბრძოლის ამ ეტაპებით და სწრაფი რეაგირებით წარმატებას მივაღწიეთ და საქართველო ე.წ „მწვანე ქვეყნების“ სიაშიც შეიყვანეს.

სხვა ქვეყნებისგან განსხვავებით, პირველი ტალღა საქართველომ შედარებით მსუბუქად გადაიტანა. ეს გამოწვწული იყო იმ გეგმის მეშვეობით, რომელიც სახელმწიფომ მოსახლეობას წარუდგინა. საქართველომ არა მხოლოდ დროულად გაითვალისწინა ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის რეკომენდაციები, არამედ ვირუსთან ბრძოლის საკუთარი სტრატეგია შეიმუშავა. სახელმწიფოს მიერ პანდემიის კონტროლისკენ მიმართული ძალისხმევა საწყის ეტაპზე საკმაოდ ეფექტური აღმოჩნდა. პანდემიის წინააღმდეგ ბრძოლის თავდაპირველი ეტაპი დაიწყო ინფიცირების პირველი შემთხვევის დადასტურებამდე ერთი თვით ადრე. ფაზა მოიცავდა კოორდინირებული ზომების იმპლემენტაციას ვირუსის შეჭრისა და გავრცელების მაქსიმალური პრევენციის უზრუნველსაყოფად.

მოხდა დროული რეაგირება, მათ შორის, საზღვრების დაკეტვა, შემოსული პირების შემოწმება, მათი საჭიროების შემთხვევაში იზოლირება. აეროპორტებში და სახმელეთო საზღვრებზე დაიწყო საინფორმაციო კამპანია. მგზავრები ქვეყანაში შემოსვლისთანავე იღებდნენ ინფორმაციას, თუ როგორ უნდა მოქცეულიყვნენ ვირუსის დამახასიათებელი სიმპტომების აღმოჩენის შემთხვევაში. საზღვრებზე დაიწყო თერმული სკრინინგიც.

პირველივე შემთხვევის დაფიქსირების შემდეგ დაიწყო საზოგადოებაში ცნობიერების ამაღლების კამპანია, დაინფიცირებული პირების ეფექტური იზოლირება და ინფექციის წყაროს საფუძვლიანი მოძიება. ვირუსის გავრცელების პრევენციის მიზნით სპეციალური აპლიკაცია „Stop COVID“ დაინერგა, სადაც ხელმისაწვდომია დისტანციური საჯარო სერვისები, ვირუსთან დაკავშირებული რეკომენდაციები, გავრცელებული მითები და რეგულარულად განახლებადი სტატისტიკა. აპლიკაცია ქართული ენის გარდა ხელმისაწვდომია აზერბაიჯანულ ენაზეც, მარნეულში მცხოვრები მოსახლეობისთვის. როგორც მოგეხსენებათ პირველადი გავრცელების დროს ეპიცენტრს სწორედ, რომ მარნეული და ბოლნისი წარმოადგენდა. მოსახლეობას სხვადასხვა მედიასაშუალებების და რესურსების მეშვეობით მუდმივად მიეწოდებოდა ინფორმაცია ვირუსის შესახებ. მისი გავრეცელის პირველ ეტაპზე ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის ევროპის რეგიონული ბიუროს და საქართველოს ოფისის და გაეროს ბავშვთა ფონდის მიერ ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ მოსახლეობის 90%-ზე მეტმა კარგად იცის COVID-19 სიმპტომებისა და მისი გადაცემის გზების შესახებ, ხოლო დამცავ ზომებს 90%-ზე მეტი მიმართავს. ასევე გამოკითხულთა უმრავლესობა (76-84%) მიიჩნევს, რომ საქართველოს მთავრობამ COVID-19 გავრცელების პრევენციისათვის ადეკვატური ნაბიჯები გადადგა და დროულად იმოქმედა. ამ პროცესში ჩართული სამთვრობო ორგანიზაციების მიმართ ნდობაც მაღალია.

პანდემიასთან ბრძოლაში საქართველომ მიიღო მნიშვნელოვანი საერთაშორისო დახმარებაც. სტრატეგიულმა და საერთაშორისო პარტნიორებმა - აშშ-მა, ევროკავშირმა, გარდა იმისა, რომ სიტყვიერად გამოუცხადეს მხარდაჭერა საქართველოს მთავრობის მიერ გატარებულ ღონისძიებებს, ფინანსური მხარდაჭერის პაკეტების შესთავაზეს. USAID-მა (აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტო) კორონა ვირუსის პანდემიასთან საბრძოლველად მარტიდანვე რამოდენიმე მყისიერი დახმარება გაუწია საქართველოს- გადაუდებელი სამედიცინო დახმარების ფარგლებში შევიძინეთ ტესტები და საჭირო ლაბორატორიული აღჭურვილობა. მათ ასევე ხელი შეუწყეს საქართველოში იმ დარგების განვითარებას, რომელთა პანდემიის გამო შეჩერებითაც, ქვეყნის ეკონომიკას ზიანი მიადგა. აღსანიშნავია ევროკავშირის მიერ გამოყოფილი დახმარებაც. მან საქართველოს პანდემიასთან ბრძოლაში 60 მილიონი ევროს (დაახლოებით 240 მილიონი ლარი) ოდენობის გრანტი გამოუყო.

დღეს მსოფლიო მეორე, უფრო მწვავე ტალღის წინაშე დგას. ამან რათქმაუნდა გავლენა საქართველოზეც იქონია და ეს ყველაფერი იმაზე რთული აღმოჩნდა ჩვენი ქვეყნისთვის, ვიდრე თავდაპირველად იყო. საგრძნობლად გაიზარდა ინფიცირების და ლეტალობის მაჩვენებელი. ისტორია მეორდება და ჩვენც მათ შორის ვართ, ვისაც ხელახალი რეგულაციების შემუშავება და დაწესება უწევს. მთავრობა უწინდელ შეზღუდვებს ქვეყნის მასშტაბით ააქტიურებს და მოსახლეობას გაცემული რეკომენდაციების დაცვისა და გათვალისწინებისკენ მოუწოდებს. რეკომენდაციების მკაცრი დაცვით და მაღალი საზოგადოებრივი პასუხისმგებლობის გამოჩენით პანდემიის გავრცელების შეფერხება შესაძლებელია. ამით ხელს შევუწყობთ სახელმწიფოს შეამსუბუქოს ის რეგულაციები, რომლებიც საფრთხის ქვეშ აყენებენ ეკონომიკას და მოსახლეობა სხვა პრობლემებისკენ მიჰყავს. ასევე, ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვანს - მედპერსონალს და ქვეყნის მთავარ ინფექციონისტებს, რომლებიც პირველივე დღიდან თავდაუზოგავად იბრძვიან ვირუსის წინააღმდეგ.

სწორი სამოქმედო გეგმით, საჭირო ინფორმაციის გავრცელებით, საზოგადოების მაქსიმალურად ინფორმირებით და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია მაღალი საზოგადოებრივი თვითშეგნების ხარჯზე ვირუსთან გამკლავება გამარტივდება. რადგან ამ უკანასკნელის გაქრობა და მასთან ბრძოლისას მოდუნება შეუძლებელია, ზემოთ აღნიშნული მითითებების შესრულება მოგვცემს საშუალებას ფატალური შედეგები თავიდან ავირიდოთ და ვირუსთან თანაცხოვრება მარტივად შევძლოთ.

ავტორი: ანა ჩალაშვილი

წყაროები:

https://eeas.europa.eu/delegations/georgia/90509/node/90509_ka

http://gov.ge/print.php?gg=1&sec_id=541&info_id=75972&lang_id

https://www.unicef.org/georgia/ka/პრეს-რელიზები/კვლევა-აჩვენებს-საქართველოს-მოსახლეობის-ცოდნის-მაღალ-დონეს-covid-19-შესახებ-და

https://www.usaid.gov/ka/georgia/news-information/news/usaid-supporting-georgia-combat-covid-build-resilience-and-prepare-economic